ტფილისი

№ 270
ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 1899 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 270
ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,

ბენეფისი ელ. ა. ჩერქეზიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

### ერთი შემთხვევა

სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 მოქმ. თხზ. გ. დ. ქურულისა.

II

### სამოცის წლის არშიყი

ხუმრობა-ვოდევილი ერთ-მოქმედებად თხზ. ელ. ჩერქეზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აღამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ა. მესხი

შაბათს, 18 დეკემბერს,

## „ტფილისის სობრანიე"-ში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ

კნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა გაჰმართავს **სამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს.**

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. კ. ფ. გურამიშვილისა, ვ. მ. ამირაჯიბი, ქ-ნნი ა. პ. მესხი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი, ა. დ. ბუში, ნ. დ. კოვალენსკი, თავ. ი. ა. ბარათაშვილი და კ. ს. მესხი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კნ. ჭავჭავაძისაგან, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 21, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, სათავად აზნაურო ქარვასლაში. (უ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უშიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუგაა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სტაგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## ექიმი

### ი. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—61)

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად ცხენის რკინის გზით მგზავრობის ნიხრი, რომელიც ქალაქის საბჭომ მოიწონა უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობის პროექტის განხილვის დროს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 600 მან. გადასდო კავკასიის მეურნეობის მდგომარეობის გამოსაკვლევად. ეს ფული გადაეცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც უნდა იკისროს გამოკვლევის საქმე. გადადებულ ფულის უმეტესი ნაწი-

## ფელეტონი

### ქუნჩუკის ნახტომი

(ჩერქეზთა წარსულ ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

III

იმ სოფელში, რომელთანაც რამდენისამე კვირის წინად მედგარი ბრძოლა მოხდა, ერთ თავადს ეწვია, ქ. ანაპის ფაშა. სტუმრის მოყვარე ჩერქეზის თავადი სტუმარს ისე დაუხვდა, როგორც შეეფერებოდა იმისს კეთილშობილებას. თავადმა მიიღო ფაშა ძვირფასის ხალიჩებითა, იარაღითა და სხვა-და-სხვა ნივთებით მოწყობილ სასტუმრო ოთახში. შევიდა სტუმარი თუ არა, როგორც მოითხოვდა ჩერქეზების ჩვეულება, იარაღი აიხსნა და მიაწოდა მასპინძელს, რომელმაც თავაზიანად ჩამოართვა და ჩამოჰკიდა ოთახის კედელზედ. იარაღის ახსნა ჰნიშნავდა იმას, რომ მასპინძელს ანდობდა თავისს თავს სტუმარი.

სტუმარი ჩერქეზისათვის, როგორც სხვა ჩვენ მთიელებისათვის, „ღმერთისაა". ნაცნობია იგი, თუ უცნობი; მტერია, თუ მოყვარე; დღისით მივა, თუ ღამე, ყოველთვის და ყოველ დროს მისთვის გაღებულია კარები. საკმარისია შეეფაროს ვინმე რაიმე გაჭირვების დროს ვისსამე ეზოში და, თუნდ მოსისხლე მტერიც რომ იყოს, მაინც მიღებული იქმნება. „ტყვია ჩემი და თავი მტრისათვის და მოყვრისათვისაა", მიესალმება ჩერქეზი სტუმარს.—„შენ ხარ ჩემი სტუმარი და, მაშასადამე, ბატონიც". მასპინძელი ჰფარავს თავისს სტუმარს და, მისთვის თავის გადადებაც რომ მოუხდეს, გადასდებს—უამისოდ დიდ სირცხვილში ჩავარდება თანამოძმეთა შორის. მასპინძელი უთმობს სტუმარს პირველს ადგილს თავისს სახლში; საჭმელია თუ სასმელია, უმჯობესი სტუმრისაა. ამით ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ დაუხვდებოდა თავადი—ეს მოწინავე კაცი მთელს მხარეში—ანაპის ფაშას.

თავადმა მიიწვია ახლო-მახლო სოფლებიდგან ქალები და ვაჟები, რომ თავიანთის ტაშ-ფანდურით, ცეკვა-თამაშით გაერთოთ და ესიამოვნებინათ ფაშისათვის. ცეკვა-თამაშობის დროს ფაშის ყურადღება მიიქცია ერთმა ქალმა. უცქეროდა იმას ფაშა და თვალებს ველარ აშორებდა:

— რა მშვენიერია, წაუჩურჩულა თავადს ყურში: მხოლოდ თქვენი მშვენიერი ქვეყანა ჰშობს ასეთს ზეციურ სიტურფეს.

— დიაღ, ლამაზია, მიუგო თავადმა.

— რა ჰქვიან? რამდენისამე წუთის შემდეგ მიუბრუნდა ისევ ოსმალი, რომელიც რამდენიც აცქერდებოდა ქალს, იმდენად უღელვდებოდა გული.

— გულლი.

— გასათხოვარია?

— ამ რამდენისამე დღის წინეთ ქუნჩუკმა დაჰნიშნა.

— ქუნჩუკმა?!.. როგორღაც განცვიფრებით წამოიძახა ფაშამ. არ ეპიტნავა ოსმალოს „ქუნჩუკი"-ს სახელის გაგონება. სხვისა ვისიმე სახელი, რომ გაეგონა, წარბსაც არ შეიხრიდა, მაგრამ ეხლა სულ სხვა კაცთან უნდა დაეჭირა საქმე. ფაშა პირადაც იცნობდა ქუნჩუკს და ისეც კარგა იცოდა, რა კაცი იყო და რა სახელი ჰქონდა ჩერქეზებში.

ქუნჩუკი ისეთი კაცი იყო, რომელმაც თავის პირად ვაჟკაცობით გაუსაზღვრელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა თავისს მიწა-წყალზედ. პირადი ვაჟკაცობა იყო პირველი ღირსება კაცისა ჩერქეზების აზრით, სულერთია, თავადი იყო იგი თუ გლეხი. ვინც ამ ღირსებას მოკლებული იყო, იგი სასაცილოდ ხდებოდა ხალხში. კაცები დასცინოდნენ და ქალები-კი ზიზღით უყურებდნენ. ჩერქეზების ქალწული ეძებდა მხოლოდ პირად მამაცობით სახელგანთქმულ საქმროს. ახალგაზდობა, სილამაზე და სიმდიდრე მისი არაფრად მიაჩნდა, თუ ამასთან იგი არ იყო მამაცი, მჭერმეტყველი და სახელოვანი. შეუფერხებლად ამჯობინებდა ჩერქეზის ქალი სახელგანთქმულ მამაც ჭაღარამორეულ კაცს საქმროდ ლამაზსა და მდიდარ ახალგაზდასთან შედარებით. მამაცობით განთქმულ ვაჟკაცს ისეთი გავლენა ჰქონდა თანამოძმეთა შორის, რომ ერთს იმისს დაძახებაზედ სწრაფად მოიყრიდა თავს ახალგაზდობა და სადაც უნდა წაეყვანა, რა საქმეზედაც, მზად იყვნენ ყოველთვის სასიკვდილოდ გაეწირათ თავი...

ქუნჩუკიც ასე სახელგანთქმული იყო და რასაკვირველია, რომ ფაშა რომელმაც კარგად იცოდა ყველა ეს, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი ჩერქეზები და მათი ხასიათი, შეფიქრიანებულიყო ქუნჩუკის სახელის გაგონებაზედ და თავს ზარი დასცემოდა. კარგად იცოდა, რომ ქუნჩუკი ვერ აიტანდა გაუპატიურებას—დანიშნულის წართმევას, რომ ან გადაუხდიდა მაგიერს და ან თავს შეაკლავდა. თუმც ანაპის ფაშა იყო, მაინც საშიშარი იყო მისთვის ეს მედგარი, მტრის თავსზარდამცემი კაცი, ეს ჩერქეზების „ბრძოლის ღმერთი". შეფიქრიანდა ფაშა, შიშიც შეეპარა გულში, მაგრამ ერთი იმ ქალის შეხედვა თავს ბრუს ახვევდა, სურვილი მისის დასაკუთრებისა უფრო და უფრო უძლიერდებოდა და საშიშარს მეტოქეს ავიწყებდა. გაშეშებული, კილოებ-გადიდებულ თვალებით, ნერწყვისაგან დასველებულ ქვემო ტუჩ დაშვებული შეჰყურებდა ოსმალი გულლის და ისე გატაცებული იყო, რომ არც-კი ესმოდა ჩერქეზების დაცინვა და ჩურჩული მის შესახებ. მთელის არსებით გატაცებულ ფაშას არა ესმოდა-რა და როდესაც შესწყდა ტაშ-ფანდური, თითქო მაშინ გამოიღვიძაო, გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ ჩამოისო გძელ წვერზე ამაყად და მედიდურად ხელი და წაუჩურჩულა მასპინძელს:

— მამა ჰყავს მაგ ქალს?

— დიაღ, დედ მამა ცოცხლები ჰყავნან.

— როგორ სცხოვრობენ, აქვთ რამე შეძლება?

— ეჰ, გლეხ-კაცს რა შეძლება უნდა ჰქონდეს, მიუგო თავადმა,—აქვთ თავიანთვის პატარა ღარიბი ლუკმა პური.

— რა ეღირება ეგ ქალი? უცბად წარმოსთქო ფაშამ.

ამის გაგონებაზედ ჩერქეზებმა გადიხარხარეს. გადიხარხარეს არა იმისათვის, რომ ამ ნაირი ლაპარაკი პირველად გაეგონოთ, უცნაური იყო მათთვის. არა, არც ისეთი სულელი

*) იხ. „ივერია" № 269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უნდა მოხმარდეს შავი ზღვის პირის გუბერნიის მეურნეობას შესწავლას.

*** ფინანსთა სამინისტრომ მოსთხოვა კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთ, წარმოგვიდგინეთ თქვენი აზრი კავკასიის ქალაქებში 1901 წლიდგან ბინებზედ სახელმწიფო გარდასახადის დაწესების შესახებაო.

*** 13 დეკემბერს ტფილის-მანგლისის გზის კოჯრის ნაწილზედ გაყვანილ იქმნა ვიწრო სამარხილო გზა.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა საყოველთაო დეპეშით წინადადება მისცა სადგურების უფროსთ მთელ გზაზედ, ჩამოიღეთ 19 ოქტომბრიდგან გამოკრული განცხადება პეტროვსკის გზაზედ დროებითის მიმოსვლის დაწყების შესახებ ახალ განკარგულებამდეო.

*** თუმცა ნატახტარის წყლები, რომლის გამოყვანა განიზრახა ტფილისის ქალაქის გამგეობამ, წმინდა წყაროს წყლებად იცნეს, მაგრამ წყაროებს გარდა იქ დაგუბებული წყლებიც ბლომად არის. ამ წყლების თვისების გამოსაკვლევად ზაფხულში იქიდგან რამდენიმე ბოთლი წყალი მოიტანეს. გამოკვლევამ ცხად-ჰყო ამ წყლის უვარგისობა. ქალაქის გამგეობამ არ იკმარა ეს და ნოემბერში ხელმეორედ სცადა წყლის გამოკვლევა.

ამ ჟამად ბ-ნმა ალიბეგოვმა შეატყობინა გამგეობას, გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ ნატახტარის წყაროების წყალი უთუოდ ივარგებს ქალაქში შემოსაყვანად და საჭიროდ მიმაჩნია გამოკვლეულ იქმნას ეს წყლები სხვა და სხვა დროს განმავლობაში, განსაკუთრებით კი ზაფხულში სიცხის დროსაო.

*** ქ. ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გადაუწყვიტა პარიკმახერს გიორგი აბძიანიძეს 30 მანეთის ჯარიმის გადახდა იმის გამო, რომ იმისი საპარიკმახერო (სადალაქო) არა სანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

*** რადგან ყველა ის, ვინც ხორცით ვაჭრობს და ვინც პურს ატარებს გასასყიდად, ვალდებულია ეს გამგეობას გამოუცხადოს, ამის გამო გამგეობამ დაადგინა მიანდოს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს მოხელეთ და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას დაათვალიერონ ყველა ის დუქნები, საიაც ხორცისა და პურის ვაჭრობა სწარმოებს, და შეადგინონ განსაკუთრებული უწყების ქაღალდი, რომელშიაც უნდა აღნიშნონ, ვის აქვს ეს დუქნები უწეს-რიგოდ შენახული და სხ. ვაჭრობის უფლების მოწმობანი 1900 წ. მიეცემა მხოლოდ იმ ვაჭართ, რომელთაც დუქნები წესიერად აქვთ მოვლილ-მოწყობილი.

*** რადგან ყალბის ღვინის გაკეთება ძლიერ გავრცელდა, ამის გამო ჟურნალის „ვესტ. ვინოდ.“-ის რედაქციას გაზრახვა აქვს დააარსოს ქ. ოდესაში „მეღვინეობის სადგური“, რომლის მოვალეობა იქნება: ღვინის დაყენების საუკეთესო წესების შესწავლა-გავრცელება, ღვინის ავადმყოფობის წამლობა, ვენახების ნიადაგის გამოკვლევა და სხ. და სხ. ჟურნალის რედაქციას იმედი აქვს, რომ ამ განზრახვას განახორციელებს მევენახეებსა და მეღვინეებზედ ნებაყოფილებითის გარდასახადის დაწესებით. თუ სადგურის გამართვის საქმეში ბევრმა მევენახემ მიიღო მონაწილეობა, მაშინ თითოეულის მევენახისაგან 35 კაპეიკის გარდახდა საკმარისი იქნება ყველა ხარჯის დასაფარავად.

*** ქუთაისიდგან იუწყებიან, რომ ადგილობრივს ქალაქის თვით-მმართველობას ლაპარაკი აღუძრავს ქალაქის საავადმყოფოს დასაარსებლად კერძო საავადმყოფო გარდასახადის დაწესების შესახებ. მაგრამ რადგან ასეთის გარდასახადისაგან ძლივს შესდგება საავადმყოფოს დასაარსებლად საკმარისი თანხა, ამის გამო განზრახულია შუამდგომლობა აღიძრას საზოგადო საავადმყოფო გარდასახადის შემოღების შესახებ.

*** ს. ცხეჲ, (გურია). ამ დღეებში ჩვენმა სოფელმა ერთი საუკეთესო კაცი დაჰკარგა. 16 ნოემბერს მიწას მიაბარეს გვამი მოხუცებულის აზ. დავით შარაშიძისა. განსვენებულს ჭკვიანისა და პატიოსანის კაცის სახელი ჰქონდა დამსახურებული. მან, მიუხედავად იმისა, რომ თითონ უსწავლელი და თან ღარიბიც იყო, პირველმა აჩვენა სხვებს მაგალითი, თუ როგორ უნდა ჯეროვანად შვილების აღზრდა. ასეთი მაგალითი არამც თუ ძველს დროში, ეხლაც იშვიათია ჩვენს სოფლებში. განსვენებულის შვილები სოფლის ჩვეულებას არ აჰყოლიან და წაუბურავად და უხაროთ დაასაფლავეს თავიანთი მშობელი, რაც ძლიერ კარგი მაგალითია სოფლელთათვის. დასაფლავების დღეს ბევრი მგრძნობიარე სიტყვა წარმოითქვა განსვენებულის შესახებ.

*** ს. დერჩი, (ლეჩხუმის მაზრა). დერჩის საზოგადოება გაშენებულია მდ. რიონის ორივე ნაპირზედ და შესდგება თორმეტის სოფლისგან, სადაც ითვლება 625 კომლი გლეხი და 300 კომლი თავად-აზნაურობა. მიუხედავად ამისა, ამ საზოგადოებაში აქამომდე არ არსებობდა არავითარი სასწავლებელი. წრეულს-კი, აქაურის პოლიციის ბოქაულის-ბ-ნ ჟორჟოლაძისა და სხვათა მეცადინეობით, ხსენებულს საზოგადოების სოფ. მექვენაში დაარსდა ერთ-კლასიანი სკოლა, რომლის მასწავლებელს წლიურ ჯამაგირად ეძლევა სამასი მანეთი სამინისტროს სპეციალურ საშუალებათაგან. ამასთანავე სამინისტრომვე მისცა საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებად სამასი მანეთი. დაარსებისათანავე (1 ოქტომბერი) სკოლაში მიღებულ იქმნა ორმოცდაათამდე მოსწავლე. ბევრს უადგილობისა გამო უარი ეთქვა, რადგან სკოლა მოთავსებულია დროებით სოფლის სამმართველოს ვიწრო ოთახში. უფრო მეტი იქნებოდა მოსწავლეთა რიცხვი, რომ, ზევით მოხსენებულ მიზეზს გარდა, არ აბრკოლებდეს საქმეს შემდეგი ორი გარემოება: 1) უხიდობა მდ. რიონზედ, რაიცა სხვაფრივაც დიდს ზარალს აძლევს აქაურ მცხოვრებლებს, და 2) საზოგადოების სოფელთა გაფანტულობა; არის სოფელი, რომელიც რვა-ცხრა ვერსტითაა სკოლას დაშორებული.

ამოდენა საზოგადოებაში არ არსებობს აფთიაქი და არ არის არა თუ მკურნალი, არამედ ფერშალიც-კი. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა საჭიროების დროს მატყუარა სოფლის ექიმ-მკითხავებთან გარბის. მართალია, დ. ლაილაში არსებობს სამკურნალო, მაგრამ ზოგს სოფლებზედ იმდენად დაშორებულია, რომ იქიდგან მკურნალის მოყვანა დიდად საგრძნობელია არა თუ ღარიბის გლეხისათვის, არამედ შეძლებულისათვისაც-კი. არის სოფლები, რომლებიც ოცდა თუთხმეტის ვერსტით არის დაშორებული სამკურნალოს. წარსულს ზაფხულს სოფ. მექვენაში გაჩნდა რაღაც სნეულება, ხურვების მსგავსი, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში ექვსი ადამიანი იმსხვერპლა. ორიოდე თუ ვინმე გადაურჩა ამ სენს, ისინიც ისე დაუძლურებულნი არიან, რომ ახლაც არ ამდგარან ლოგინიდგან. სოფლის მცხოვრებნი ისე შეაშინა ამ სენმა, რომ „ხოლერის ბუში“ უწოდეს და ერთხელ ამ ავადმყოფობის დროს მოვიდა ლაილაშის ქსენონის ექიმი და ჯეროვანი რჩევა-დარიგება მისცა ავადმყოფებს, მაგრამ ერთხელ მოსვლით რას გააწყობდა.

*** დ. ცხინვალი. ამ რამდენისამე ხნის წინად შეძლებულის სომხის გ. ო. (აწ გარდაცვალებული) 18 წლის ქალი, რომელსაც დედა და ძმა ნებას არ აძლევდნენ გაჰყოლოდა ცოლად აქაურისავე სომხის შვილს ა. ი., ღამე მიიჭრა ერთის ვაი-ვაგლახით სამამამთილ-სადედამთილოს სახლში, რადგან ახალგაზდა ა. ი. ბაქოში ყოფილა ნოქრად. დედამ ქალისამ და ძმამ აფრინეს დეპეშა სასულიერო მთავრობასთან რომ არ მიეცეთ ახალგაზდათ ჯვარის წერის ნებაო. ადგილობრივმა მღვდლებმაც მიიღეს ბრძანება:—ჯვარი არ დასწეროთო და რითი დამთავრდება ამათი საქმე, არავინ იცის.

როგორც მოგეხსენებათ, ცხინვალის სამკითხველომ უკვე მიიძინა და მისი, წიგნები აქეთ-იქით დაიტაცეს. საკვირველი ის არის, რომ სამკითხველოს კუთვნილი თორმეტიოდე ჩალის სკამიც, ღირებული 26 მან., მიუთვისებია ერთს ადამიანს. ეს უკანასკნელი ბრძანებს თურმე, რომ X მოგვცაო. ვერ გაგვიგია, ვის რა უფლება აქვს საზოგადო ნივთი ან მიისაკუთროს, ან გაასაჩუქროს. თუ არა ვცდებით, სამკითხველოს წესდების ერთს მუხლში მოხსენებულია: „უკეთუ რაიმე მიზეზისა გამო დაიკეტოს სამკითხველო, ნივთები, წიგნები, თუ სხვა რამ ავეჯი ან გაიყიდოს და ფული მიჰბარდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ან ნივთად მიეცეს იმ პირობით, რომ უკეთუ დაარსდეს ისევ სამკითხველო, ეს ნივთები უკანვე დაუბრუნდესო“. როგორც ეტყობა ბევრს დაჰვიწყებია ეს გარდაწყვეტილება.

*** როგორც ისმის, ფინანსთა სამინისტრო თანაგრძნობით მოეკიდა კავკასიის ვაჭრობისა და მანუფაქტურ ს კომიტეტის შუამდგომლობას კომიტეტთან სავაჭრო ბიუროს დაარსების შესახებ.

*** სენატმა განმარტა, რომ სამოქალაქო კანონების ძალით ყველა წოდების კაცს

---

იყო მართლაც ანაპის ფაშა. მას კარგად ესმოდა, რასაც ამბობდა. ნიშანი კარგად ჰქონდა ამოღებული თავისის ისრისათვის... ესმოდა და ამისათვისაც, როგორც ნამდვილმა გაწრთვნილმა და გამოჯეკილმა ამ ნაირ საქმეებში, დაცინვას ყურადღება არ მიაქცია, თითქო იმას არ შეეხებაო.

ძველადვე ჩერქეზები, ეს ულამაზესი ხალხი კავკასიაში, რომლის ასულებს განცვიფრებაში მოჰყავდათ თავიანთის სილამაზითა, სიკეკლუცითა და ტანადობით ევროპის მოგზაურები ჰყიდდენ ქალებს აღმოსავლეთის მხარეს ქვეყნებში. ჩერქეზები განიყოფებოდნენ რამდენსამე თემად. ზევრჯელ ჩავარდებოდა ხოლმე მათ შორის შური და მტრობა. ამას მოსდევდა ომი, განუწყვეტელი სისხლის ღვრა, ხალხის დატყვევება და მათი დამონავება. აგრეთვე ამონავებდნენ სხვა ქვეყნის ტყვეებსა როგორც ყაბარდოსა, ჩაჩანისა, ნაგაისა და სხვ.. უფრო, რასაკვირველია, ჰყიდდენ მონების ქალებს. შემდეგ და შემდეგ-კი თავიანთ ქალებსაც ჰყიდდნენ, უფრო, რასაკვირველია, ღარიბი გლეხობა. ღარიბ-ღატაკი ჩერქეზი, რომელიც მტაცებლობით იძენდა ლუკმა პურს და ამისათვის უმეტესად უფრო მშიერი იყო, ვიდრე მაძღარი, რაღა თქმა უნდა, ვერ აღუდგებოდა წინ პჭყვრიალა ოსმალოს ოქროს.

როგორც საქონლისათვის მოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებიდგან ვაჭრები, აძლევდენ დიდ ძალ ოქროს და ქალებით დატვირთულ გემებს მიაქროლებდნენ შავ ზღვაზედ. შავ ზღვის აღმოსავლეთის კიდეებზედ გამართული იყო სავაჭრო ბაზრები, სადაც მოდიოდნენ და გადიოდნენ ოსმალეთის გემები. ეს საზიზღარი ვაჭრობა ისეთ ჩვეულებად გარდაექცათ, რომ თუ რომელიმე ჩერქეზი ჰყიდდა ქალს, მისი მეზობელი ყურსაც არ იპერტყამდა, თითქო ხარს ან ფურს ჰყიდდეს. ესევე იყო ჩვენ უბედურ დასავლეთ საქართველოშიაც!.. ეს საზიზღარი ადამიანთა ვაჭრობა მოისპო მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსებმა დაიპყრეს საჩერქეზო.

ყველა ეს კარგად იცოდა ანაპის ფაშამ და ამისათვისაც უნდოდა გაეგო გულლის ფასი.

უკანასკნელ ფაშის კითხვაზე, თავადმა პასუხი ვერ მისცა, რადგანაც გულლის თავისი პატრონი ჰ-ვანდა და მეორეც უკვე დანიშნული იყო ქუნჩუკის მიერ. ფაშა დაბრუნდა თავისს სამფლობელოში გულლისაგან დაჯადოებული და გულში გადასწყვიტა, ყოველისფერი ღონისძიება ეხმარა დაესაკუთრებინა ჩერქეზის მშვენიერი ქალი და მით თავის ჰარამხანა დაემშვენებინა.

IV

სრული ბადრი მთვარე ზედ დაჰყურებდა მიძინებულ ანაპს. ყველას ეძინა, მხოლოდ არ ეძინა ფაშას. გადაწოლილიყო თავისს მდიდრად მორთულს ოთახში ბალიშ მუთაქებზედ და უძრავად მისჩერებოდა ერთ ალაგას. შეკრული შუბლი და შეჭმუხნილი წარბები უმტკიცებდა, რომ იმისს თავში მძიმე ფიქრები ტრიალებდა. ვინ იცის რა დრომდე გასტანდა ფაშის ამ ნაირი მდგომარეობა, ამ დროს მის ოთახის კარები რომ არ შეეღოთ.

— ოჰ, შენა ხარ, მამთალი, თავისს აწევით წარმოსთქო ფაშამ, დაინახა თუ არა შემოსული.

— დიაღ, მე გახლავართ, დიდებულო ფაშავ, მძიმედ თავის დაკვრით უპასუხა შემოსულმა,— დამიბარეთ და გიახელით.

— საჭირო საქმე მაქვს შენთან, მამთალი, სთქვა ფაშამ. მოდი მომი ახლოვდი.

— ბრძანეთ, ფაშავ, მე ყოველთვის მზადა ვარ ქვასრულო თქვენი ბრძანება.

— მამთალი, მცირე სიჩუმის შემდეგ დაიწყო ფაშამ; ჩერქეზის თავადთან ვნახე ერთი შენის სამშობლოს ანგელოზი, რომლის მსგავსი თვით მაჰმადსაც არ ეყოლება საიქიოს. რაც ის ვნახე, თავი კისერზედ აღარ მაბია. დამიბნელდა არემარე და სიტკბოება სიმწარედ გარდამექცა... მძინავს თუ მღვიძავს სულ თვალ-წინ მიდგა. თუ ის არ მოვიყვანე და ჩემი ჰარამხანა არ დავამშვენე, არ იქნება. უნდა როგორმე ვეცადო, მოვახერხო ძალით იქნება თუ ნებით.

— ძალა რა საჭიროა დიდებულო ფაშავ, უთხრა მამთალიმ: ანაპის ფაშას ქალს ვინ დაუჭერს...

— ეგ აგრეა, ჩემო მამთალი, გააწყვეტინა ფაშამ,—მაგრამ უბედურება ის არის, რომ ქალი უკვე დანიშნულია ქუნჩუკისაგან. თუმცა მამა დავითანხმე, დიდი ქრთამიც გაუგზავნე, მაგრამ ქალი თურმე უარს არის. გაგიჟებით შეჰყვარებია ქუნჩუკი. თუ ის არაო, თავს მოვიკლამო.

— თუ მამა ყაბულია ქალისა, ადვილია, დიდებულო ფაშავ.

— როგორ, რა გზით? წამოიძახა ფაშამ,—წამოვარდა ზეზე და თვალებში ელვამ დაუარა.

— მოტაცებით. ჩერქეზეთში ჩვეულებრივი ამბავია ქალის მოტაცება.

— რა კარგი ფიქრია, წამოიძახა ალტაცებით ფაშამ,—შენ თითონ უნდა მომიხერხო ეგ საქმე, მამთალი, ჩერქეზი ხარ და, რასაკვირველია, კარგად იცი ზნე-ჩვეულებანი შენის ქვეყნისა. თუ მომიხერხე ეს საქმე და გულლი აქ მომიყვანე, გაძლევ პატიოსანს სიტყვას, უხვად დაგაჯილდოვებ. სუ ოქრო ვერცხლში ჩაგსვამ, პირველ ჩემ სასახლის კაცად გაგხდი.

— ვეცდები, დიდებულო ფაშავ, ავასრულო თქვენი ბრძანება.

— ჰო, ჩემო მამთალი, მეც იმისათვის მოგმართე შენ, რომ იმედი მქონდა. დარწმუნებული ვარ შენს ერთგულებას და ერთგულ სამსახურს-კი, ხომ იცი დიდად ვაჯილდოვებ... დაეჩქარე, ხვალვე. რამდენიმე უფრო საიმედო ნაგაელი წაიყვანე თან, მხოლოდ ფრთხილად იარეთ, უფრო ღამით. რასაკვირველია, მაშინვე ხმა გავარდება და ქუნჩუკი, ვიცი, დაგედევნებათ და ეცადეთ როგორმე გამოასწროთ.

— ქუნჩუკისა არ მეშინიან, თუნდა დამეწიოს კიდეც, ამაყად უპასუხა მამთალიმ—არხეინად ჰბრძანდებოდეთ, მე ვიცი და ქუნჩუკმა...

— კარგი, კარგი... აბა შენ იცი!..

მამთალი გავიდა და მარტოდ დარჩენილი, დაიმედებული ფაშა-კი ტკბილ ოცნებას მიეცა.

(შემდეგი იქნება)

უფლება აქვს იშვილოს თვისი უკანონო შვილები?

** 13 დეკემბერს არ მოხერხდა მიმოსვლის აღდგენა ყარსის რკინის გზაზედ და ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაქოს ნაწილზედ.

** რადგან ყარსის რკინის გზა ამიერ-კავკასიის რკინის გზას შეუერთდა, ამის გამო გზათა სამინისტრომ ნება დართო გაფართოვებულ იქმნას ტფილისის რკინის გზის საავადმყოფო ორის საწოლის მიმატებითა და ამასთან დანიშნულ იქმნას ამ საავადმყოფოში მეორე მკურნალი-დოსტაქარი.

** დიდის ყინვებისა და თოვლის გამო ტფილისში ამ ჟამად გაძვირებულია ყოველგვარი უსაჭიროესი ნაწარმოები. რადგან მორეკილ საქონლის რიცხვი შემცირდა და მცხოვრებთ ხორცი აღარ ჰყოფნით, ამის გამო გირვანქა ხორცზედ არსებული ნიხრი (7½ კაპ.) 10 და 12 კაპეიკამდე ასწიეს თავისის ნებით. ქალაქში შეშის შემოტანაც შესწყდა და მისმა ფასმაც საარაკოდ იმატა: ერთი პატარა ურემი შეშა (არა უმეტეს ⅛ საჟენისა) ისყიდება 10—12 მან. შეშის საწყობებშიაც შემცირდა შეშის რაოდენობა. ბორჯომის საწყობში უკვე მთლად გაიყიდა შეშა და თუმცა ბორჯომის მამულს 1,000 კუბ. საჟენამდე შეშა აქვს, მაგრამ მისი მოტანა ტფილისში გაძნელებულია რკინის გზაზედ ვაგონების სიცოტავის გამო. ფასები ასწიეს ნახშირზედაც. აგრეთვე მოიქცნენ ნავთის შესახებ: ფუთი ნავთი ისყიდება, 1 მ. 50 კ.-ის მაგივრად, 2 მ. ან 2 მ. და 40 კაპეიკად, [illegible] ასახელებენ ბაქოდგან ნავთის [illegible] შემცირებას.

** წითელის თევზის საჭერად ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიკოლაევსკსა და გრიგოლეთში მისულა 60 მეთევზე. თავდაპირველად თევზის ჭერა ჰარჯვედ თურმე მიდიოდა, მაგრამ ბოლოს ზღვის აღელვების გამო მეთევზეთ დაუკარგავთ მრავალი თევზის საჭერი იარაღი და თევზის ჭერაც შეუძლებელი გამხდარა.

** ამ უკანასკნელ დღეებში გურიაში ერთს ადლზედ მეტი თოვლი მოსულა. მიმოსვლა სოფლებს შუა შეწყვეტილა. ქ. ოზურგეთსა და სადგ. ნატანებს შუა მარხილებით დადიან. გაციებით ავად გახდომა და აგრეთვე სიკვდილიც გახშირებულია.

** კვირას, 12 დეკემბერს, სასახლის ქუჩაზედ გაჰქურდეს ბოხარჯიანცის თამბაქოს მაღაზია, რომელიც ამ დღეს დაკეტილი იყო. როგორც ჰფიქრობენ, ქურდები დილა-ადრიანად შესულან ამაღლების ქუჩიდგან, უსარგებლნიათ კვირა დღის ხმაურობით და უთხრიათ, ვიდრე მაღაზიის იატაკს აჰყრიდნენ. ქურდებს მაღაზიაში დარჩენიათ ინგლისური იარაღი, რომლითაც კასსა გაუტეხნიათ. წაუღიათ კასსიდგან 6,000 მან. ფულად და ოქროსი და ბრინჯაოს მედლები.

** სოხუმის ოლქის სოფ. დრანდის საექიმო მკურნალად დაუნიშნავთ ბ-ნი ექვაშაკიძე, რომელიც აქამდე სოფ. ქედაში (ქვედა-აჭარაში) იყო მკურნალად. („ცნ. ფ“).

---

## ქალაქის საბჭო

### 13 დეკემბერი

პირველად საბჭოს მოახსენა გამგეობამ, რომ კუკიისა და ავლაბრის საქალაქო ადგილები იჯარით გაიცემა სამის წლის ვადით, წელიწადში 3420 მანეთადაო.

საბჭომ დაამტკიცა ეს მოხსენება. აგრეთვე შეწყნარებულ იქმნა ფრიდრიხ ვეტცელის თხოვნა იმის შესახებ, რომ სასტუმროს გახსნის ნება მიეცა მისთვის საბჭოს. შემდეგ კრება შეუდგა 1900 წ. ქალაქის შემოსავლის განხილვის გაგრძელებას. როგორც ვიცით, წარსულს კრებაზედ განხილულ იქმნა ხუთი მუხლი შემოსავლისა; განსახილველად დარჩა კიდევ სამი მუხლი, რომელიც ცოტაოდენის ცვლილებით დამტკიცებულ იქმნა.

§ VI. ქალაქის შენობათა და საზოგადოდ ქალაქის მიერ ნაკისრებ საქმეებიდგან, როგორც მაგალითად, მილებით გამოყვანილი წყალი, ყასაბხანა, სადეზინფექციო სადგური, ლაბორატორია, მიკროსკოპიული სადგური, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრის ფასი და სხ.— სავარაუდო შემოსავლად ნაანგარიშევია 403,338 მან. § VII. ხაზინის მხრივ შემწეობისა, სხვა და სხვა კაცთა ნაანდერძევ თანხის და დახარჯულ ფულების აღდგენიდგან მოსალოდნელია 120.370 მან. § VIII. სხვა და სხვა შემოსავლიდგან— 22,923 მან.

კრებამ მოისმინა თხოვნა აქციონერ საზოგადოების—„ვ. ფიცნერ და კ. გამპერ“-ის ვექილისა იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ ჯარიმა გადაგვახდევინა და უკანვე დაგვიბრუნეთ ეს ფულებიო.

საქმე აი როგორ ყოფილა: ხსენებული ფირმისათვის შეუკვეთნია გამგეობას 13,600 მანეთად ორი ქვაბი, რომელიც ქალაქის წყლის აუზისათვის ყოფილა საჭირო. ხელშეკრულების ძალით, თუ ქვაბებს დროზედ ვერ ჩააბარებდა ფირმა გამგეობას, ჯარიმად უნდა გადაეხადნა პირველ დაგვიანებულ სამი კვირის (თითო კვირაში 100 მან,) 300 მან. ხოლო იმის შემდეგ დღეში—50 მ. 56 დღე გადაუცილებია ვადაზედ, და გამგეობასაც, პირობის თანახმად, 2050 მან. გადაუხდევინებია. 4 თებერვალს ფირმას თხოვნა გამოუგზავნია გამგეობისათვის, რომ დაუდევრობით არ დაგვიგვიანებია ქვაბების გამოგზავნა, არამედ ცეცხლმა გაანადგურა ჩვენი ქარხანა და იმან შეგვიშალა ხელი; ამიტომ მიიღეთ მხედველობაში ეს მოულოდნელი გარემოება და ჯარიმა უკანვე დაგვიბრუნეთო. 30 მარტს გამგეობას დაუდგენია, რომ შეწყნარებულ იქმნას ხსენებული თხოვნაო. მაგრამ მერმე გაუგია, რომ ცეცხლს ერთი კვირის წინად დაეზარალებინა ქარხანა, სანამ მას ქვაბებს შეუკვეთდა გამგეობა, ამიტომ 3 ს აგვისტოს გამგეობას გაუუქმებია თავისი პირვანდელი დადგენილება (30 მარტისა) და გარდაუწყვეტია, რომ არ ეპატიოს ჯარიმაო. ფირმის წარმომადგენელს კიდევ მიუცია გამგეობისათვის თხოვნა, რომელშიაც ამბობს, რომ მართალია ცეცხლი ქვაბების შეკვეთამდის გაჩნდა, მაგრამ ხელშეკრულობის დადების დროს გაგებული არ გვქონდა, თუ რამდენი ზარალი მიეცა ქარხანას და რამდენად შესაძლებელი იყო თავისს დროზედ შეგვესრულებინა შეკვეთილი საქმეო. რადგან ფირმას ისედაც დიდი ზარალი მიეცა, ნუ ინებებთ თქვენც 2050 მანეთი გადაახდევინოთო. გამგეობას დაუდგენია, უარი ეყოს თხოვნაზედ ქარხნის წარმომადგენელსო.

ხმ. ა. თ. ფურცელაძე. ქალაქს ზარალი მოუვიდა თუ არა ქვაბების დროზედ მოუსვლელობით?

გამგეობის წევრი თ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი. ქონებრივად არ მოსულა ზარალი.

ხმ. გრიგოროვი. რასაკვირველია, ზარალი მოუვიდა; წყალი აკლდებოდა ქალაქს.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ქალაქის თვითმმართველობას, როგორც საზოგადო დაწესებულებას, არ შეჰფერის ჯარიმა გადაახდევინოს ვისმეს და ზარალში შეიყვანოს, მაგრამ ჩვენ თითონ ზარალი მოგვივიდა ქვაბების დროზედ მოუსვლელობით; რამდენიმე დღე უწყლოთ ვიყავით.

ხმ. ქალანთარი. იმიტომ კი არ დაუგვიანებია ქარხანას საქმის შესრულება, რომ არ უნდოდა დროზედ შეესრულებინა, არამედ გარემოებამ შეუშალა ხელი. ამიტომ ვაპატიოთ ჯარიმა.

ხმ. გ. მ. ალიხანოვი. ზნეობისა თუ უზნეობის შესახებ აქ ლაპარაკიც არ შეიძლება. ხელშეკრულობაში მოხსენებულია ჯარიმა და კიდევაც უნდა გადახდეს. მაშ რაღა საჭირო იყო მისი მოხსენება? ერთი ქალაქს დაერღვია თავისის მხრივ პირობა, ნახავდით, თუ არ აზღვევინებდა ქარხანა.

ხმ. დოლუხანოვი. როცა საქმეს იღებდა, ქარხანას უნდა სცოდნოდა, დროზედ მოასწრებდა, თუ არა.

ხმ. ა. თ. ფურცელაძე. არ გაგვაკეთებს ეს ფულები და უკანვე დავუბრუნოთ. ხაზინაც-კი აპატიებს ხოლმე მოიჯარადრეს ჯარიმას, თუ რაიმე ზარალი არ მოუვიდა შეკვეთილი საქმის დაგვიანებით.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის დადგენილება, ე. ი. ქარხნის წარმომადგენელს უარი უთხრა თხოვნაზედ.

კრებას მოხსენდა გამგეობის დადგენილება წყლის მილის ხელოსნის—ფრიდრიხ ნერინგის სიკვდილის გამო ატეხილ საქმის შესახებ.

ნერინგის სიკვდილის მიზეზად უცვნიათ ქალაქის ტეხნიკის ბ-ნ დვალიევის დაუდევრობა და აი რატომ: მუხრანის ქუჩაზედ გახეთქილა წყლის მილი, რომლის გაკეთება საჭირო იყო. ბ-ნს დვალიევს განკარგულება მიუცია ნერინგისა და მუშებისთვის არხი გაეთხარათ, მაგრამ თითონ არ დასწრებია მუშაობას. არხი მართლაც გაუთხრიათ მუშებს, მაგრამ მიწა ჩაქცეულა და ნერინგი ძლიერ დაშავებულა, რომელიც, საავადმყოფოში წაყვანის შემდეგ, გარდაცვლილა. კომისიას, რომელიც გამგეობის წევრების—თავ. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნ ხოსროევისა, ქალაქის ინჟინერის ბ-ნ მუხარინსკისა და სხ. შესდგებოდა, უცვნია, რომ ბ-ნ დვალიევის დაუდევრობამ გამოიწვია ნერინგის სიკვდილიო. ამის გამო გამგეობას დაუდგენია, პასუხის გებაში მიეცეს ბ-ნი დვალიევიო.

ხმ. თავ. ნ. ი. არღუთინსკი. გამგეობა რატომ არ უჩივის ბ-ნს დვალიევს, რომ ის ხარჯი აზღვევინოს, რამდენიც ქალაქმა ნერინგის სახლობას უნდა მისცეს?

ხმ. დოლუხანოვი. ამ ნაირი საჩივარი შეუძლებელია.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის დადგენილება.

შემდეგ საბჭომ მოისმინა განსაკუთრებულ კომისიის დადგენილება ევდოკია კანოპლიოვის საჩივრის გამო გამგეობაზედ, რომელსაც შენობის აგების ნება არ მიუცია მისთვის იმ გეგმით, როგორითაც მას სურდა, არამედ დაუდგენია, რომ იმ ადგილას (არტილერიის ბალკა), რომელიც 39½ საჟ. მეტი არ არის, და რომლის წინა ქუჩას 5 არშინის სიგანე აქვს, 7 არ. 13 ვერ. უმაღლესი შენობის აგება არ შეიძლება საბჭოს სავალდებულო დადგენილებითო. კომისიას კანონიერად უცვნია გამგეობის დადგენილება. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, საბჭომ მოიწონა გამგეობის გარდაწყვეტილება.

ბოლოს წაკითხულ იქმნა ქალაქის ღამის თავშესაფართა წეს რიგის პროექტი, და ცოტაოდენის ცვლილებით დაამტკიცა საბჭომ.

---

## მეფუტკრეობა პ. მ. მოსეშვილისა რაჭაში

ვიდრე პირდაპირ ჩვენს საგანს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო ბ-ნ მოსეშვილის ხე-ტყის წარმოება რაჭაში. აგერ 12 წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ბ-ნ მოსეშვილს შეუძენია დიდ-ძალი მამული ნაძვითა და სოჭით სავსე სადმელის საზოგადოებაში. ეს მამული წინად თ. იაშვილებისა ყოფილა. მისი სათავე იწყება იქ, სადაც იაშვილების სიამაყე—ციხე-კოშკის ნანგრევი დღესაც არის, სოფ. კლდის უბანში. ერთ დროს ეს ციხე მათ პატრონთ და მკვიდრთ იცავდა გარეშე მტრებისაგან, მაგრამ თვით ეს ციხე შეიქნა მიზეზი მათის პატრონ-იაშვილების აქედგან განდევნისა... ამ მშვენიერს ტყეს ჩამოუვლის მთის გიჟმაჟი მდინარე—რიცეულა. როცა ეს მამული შეიძინა აქაურის ბუნების გამოუცდელმა მოსეშვილმა, მაშინ გიჟად დასახეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რადგან იქ გზის შეყვანა და მითი სარგებლობა მეტად საეჭვო და სახიფათო იყო. მაგრამ ფულმა და მოსეშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება გადალახა, შემუსრა კლდენი და ქვანი, არაღ ჩააგდო მდინარის ხუშტური და უდაბურ ადგილას (სადაც მუშა თოკით გადმოკიდული ნალმით კლდეს არღვევდა) საურმე გზა გაიყვანა ჯერ-ჯერობით 10—12 ვერსის მანძილზედ. წინაწლებში მოსეშვილი აჰრევინებდა სატივე ხეებს და მდ. რიონით დაჰქონდა ქუთაისს, სადაც სახერხავი მანქანა ჰქონდა, ეხლა-კი, ეს ერთი წელიწადია, რაც აქ გაუჩაღებია სახერხავი მანქანა, რაიცა ადგილობრივ მცხოვრებთათვის დიდი შეღავათია. ერთის სიტყვით, მოსეშვილის ტყეში დღეს ჰმუშაობს ორთა შუა რიცხვით 40 კაცი.

ამ ოთხის წლის წინად ბ-ნმა მოსეშვილმა სხვა კარგს მაგალითთან ერთად დაიწყო გონივრული მეფუტკრეობა. მეფუტკრეობისათვის ეს მთა ჩინებული რამაა და მისმა დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ერთ სკას, გონივრულად მოვლილს, შეუძლიან სამი ფუთი თაფლი მოგვცეს. ტყეში ბლომად არის ცაცხვი, იასამანი (ხეთუთრი) და ქონდარი (ეს უკანასკნელი გვიან აყვავების გამო ნაკლებ მოსავალს იძლევა); ამასთანავე საფუტკრე ერთობ მოხერხებულ ადგილას იმყოფება. პირვანდელ ერთ ძირ სკიდგან დღეს ჰყავს 132 (ას ოცდა თორმეტი) ძირი სკა; წინად გაზაფხულზედ მეტიც ყოფილა, მაგრამ ხუთი იმათგანი პეპელას წაუხდენია, ხოლო ორი უდედო აღმოჩენილა და სხვას შეუერთეს თურმე. სკები არის უმთავრესად ლაიანსის და დადანის ყაიდისა. წრეულს ფუტკარი სულ ღვთის ანაბარა ყოფილა მიტოვებული და არც ერთ სკას გონივრულის მოვლისა არა ეტყობოდარა. მეფუტკრე ბ-ნი თ. რამიშვილი აქედგან წასულა მაისში და დღემდე მის მაგიერი საფუტკრეს არავინა ჰყავს. ეხლა-კი ბ-ნი მოსეშვილი ჰფიქრობს მეფუტკრე მოიწვიოს. წრეულს აქ ფუტკარს ჩინებული ამინდი ჰქონია და არამც თუ ბუდე, არამედ საცა ფუტკრებს ამოსასვლელი ეპოვნათ, სახურავს და ჩარჩოს შუა მთლად გამოეტენათ ჩინებულის წმინდა თაფლით. სკების უმეტესობას ჩარჩო-სახურავში ჰქონდა ნაშენი, ზოგს კიდევ გადასამკედლავ ფიცარის აქეთ იქით. იყო ისეთი სკებიც, რომლებიც, რაც ჩარჩო ჰქონდა (8—10), ის რომ გაევსო ფუტკარს, მერე ადგილის უქონლობისა გამო დამცდარიყო. საკუჭნაო ხომ არც ერთს არა ჰქონოდა და უიმისობას-კი ყველაზედ მეტად დადანის სკები დაეცდინა, რადგან ამათ არ ეხერხებათ სახურავში ასვლა. ერთის სიტყვით, წრეულს კარგის მოსავლით შეეძლო თითეულს სკას მოეცა ერთი მეორეზე არა ნაკლები სამის ფუთის თაფლისა; ჯერ ეხლაც მოუვლელათ ზოგმა ორ ფუთზე მეტი მისცა თურმე. აქაური თაფლი ბ-ნ მოსეშვილს წარსულ წლებში 6—7 მან. გაუყიდია ქუთაისში ფუთი—სანთელი-კი 24 მან. აქაური თაფლი კარგად უნდა გაიყიდოს, რადგან საუკეთესო ღირსებისა არის. წრეულს მეტადრე მშვენიერი რამ თაფლი იყო თურმე. მცოდნე მეფუტკრე არა ყოფილა წრეულს აქ, იმის გარეშე კიდევ ხელი შეუშლია დიდს სიცხეს: 15 სკაში ფიჭები კიდეც ჩამოცვივნულიყო სიცხის გამო.

მოსეშვილის-მიერ ამ გვარად საფუტკრის მოწყობა, რასაკვირველია, მცხოვრებთათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჯერ-ჯერობით ორ კომლს კიდეც მიუბაძნია და სამ-სამი დადანის სკა დაუდგამთ. დიდად მადრიელნი არიან და ფიქრობენ, სხვა სკებიც ისე გადააკეთონ. იგონებენ იმ დროს (ამ ორის წლის წინად), როცა ფუტკარს გამოხილვის მაგივრად ბარბაროსულად „ანელებდნენ“ მდინარეში ჩაყრით; მაგალითად, თუ ვისმეს ჰყავდა 10 ძირი სკა, 5 იმათგანს საახალწლოთ ჩაჰყრიდა წყალში და დაჰხოცავდა. ეს წესი ჩვენს საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, გურიის გარდა, კიდევ იციან, მაგრამ რა-კი ეს დარგი მეურნეობისა დიდ წარმატებას იჩენს, ეს ჩვეულება მალე მოისპობა.

მეფუტკრე-მასწავლებელი აპოლონ წულაძე

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთები შემდეგ ცნობებს იუწყებიან გენერლების რობერტსისა და კიტჩინერის შესახებ, რომელნიც, როგორც ვუწყით, დანიშნულ იქმნენ, პირველი ინგლისის ჯარის მთავარ-სარდლად აფრიკაში, ხოლო მეორე—ამავე ჯარის მთავარ შტაბის უფროსად. ამ გაზეთების სიტყვით, ახალი მთავარ-სარდალი უპირველესი გენერალია ინგლისის ჯარისა. პირველად რობერტსმა თავი ისახელა 1858 წელს ინდოეთში მომხდარ აჯანყების დროს. შემდეგ რობერტსმა მონაწილეობა მიიღო აბაშეთის ექსპედიციაში და ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანვე ახალგაზდა მეომარმა თავისას მამაცობით და მოხერხებულობით მეტად ისახელა თავი. მალე იმ ჯარის უფროსად იქმნა დანიშნული, რომელიც ავღანელთ ებრძოდა. 1879 წლის 9 ოქტომბერს რობერტსმა კაბული დაიპყ-

რა. მეორე წელს ემირად აბდურახმანი გამოაცხადა და კანდაკარში გამოწყვდეული გენერალი პრიმროზა განთავისუფლდა. შემდეგ, 1880 წელს, 9 სექტემბერს, საშინლად დაამარცხა ემირის მოციქული ეიუბი. 1881 წელს, ტრანსვაალთან შეტაკების დროს, როდესაც მაჯუბასთან დამარცხებულ იქმნა ინგლისის ჯარი, ამ ჯარის უფროსად მთავრობამ გენერალი რობერტსი დანიშნა. მაგრამ როდესაც გენერალი აფრიკაში ჩავიდა, ომი უკვე გათავდა. ამ დროს ახალი სამინისტრო შესდგა, გლადსტონის მეთაურობით, და ამ სამინისტრომ ომი აღარ განაგრძო და ტრანსვაალთან ზავი ჩამოაგდო. გენერალი რობერტსი შემდეგ ინდოეთში მეოთხე ჯარის უფროსად იქმნა დანიშნული. 1892 წელს რობერტსმა ლორდის ტიტული მიიღო. მეორე წელს ლორდი ინგლისში გადაიყვანეს, სადაც ირლანდიის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნეს. რობერტსი ამ ჟამად 67 წლის გახლავს.

რაც შეეხება გენერალ კიტჩინერს, ამ გენერალმაც ინგლისში ძალიან გაითქვა სახელი. მახდისტების დამარცხებამ დიდი სახელი მოუპოვა. დაიბადა კიტჩინერი 1856 წელს. 1883 წელს ეგვიპტის ჯარში შევიდა და მას შემდეგ იქ მსახურობს. ამ ჟამად კიტჩინერი ეგვიპტის ჯარის მთავარ-სარდლად (სირდარად) ითვლება. ამას გარდა იგივე კიტჩინერი მახდისტების დამარცხების შემდეგ სუდანის გენერალ-გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

## სასამართლოს მატიანე

ვ. გუნიას და დ. კეზელის საქმე.

13 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გაზ. „ცნ. ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემლის ვ. გუნიასი, რომელსაც გაზ. „ტფილ. ფურცლის“ თანამშრომელი დავით კეზელი უჩიოდა, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამა და მოსყიდული მწერალი მიწოდაო. კეზელის ვექილად იყო ნაფ. ვექ. თანაშემწე ახუმოვი, ხოლო გუნიასი—ნაფ. ვექ. გვაზავა.

სასამართლოში დაბარებულ მოწმეთაგან არ გამოცხადდა მოწმე იოანიდიანი. საჩივრის მოხსენების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ წინადადება მისცა მოპირდაპირე მხარეთ, საქმე შერიგებით გაათავეთო, მაგრამ კერძო ბრალდების წარმომადგენელმა ამაზედ უარი განაცხადა, რის გამოც მოწმეთ ფიცის ქვეშ ჩამოერთვათ ჩვენება. მოწმემ ი. გ. ხაჩატუროვმა აჩვენა: კეზელს მე 1884 წლიდგან ვიცნობ, მასთან ერთად ვმუშაობდი ჯერ „ახ. მიმ.“-ში და შემდეგ „ტფ. ფურც.“-შიო; კარგად ვიცი კეზელის ხასიათი და შემიძლიან დავამოწმო, რომ მისი მოსყიდვა შეუძლებელი საქმეაო. მოწმემ მიხაილოვმა დაახლოვებით იგივე აჩვენა. მოწმის პახომოვისაგან კერძო ბრალმდებლის ვექილმა უარი განაცხადა. ნაფ. ვექილის თანაშემწემ ახუმოვმა სთქვა: საზოგადოებრივი ინტერესები და სალიტერატურო ზნეობა მოითხოვს დაისაჯოს გუნია სასჯელთა დებულების მე-1535 მუხ. ძალითაო. გუნიას დამცველმა ნაფ. ვექ. გვაზავამ უპასუხა, რომ ჯერ ვიდრე საზოგადოებრივ ინტერესებსა და სალიტერატურო ზნეობას შევეხებოდეთ, საჭიროა დამტკიცდეს, რომ ბრალდებული დამნაშავეა თუ არაო. შემდეგ ვექილმა სათანადო კანონდებულებათა აზრი გამოარკვია, სიტყვები „მოსყიდული ენა“ მხოლოდ შეურაცხებადა სცნო და არა ცილის წამებად და სთხოვა სასამართლოს ბრალდებულის გამართლება. კამათის შემდეგ თავმჯდომარემ ხელმეორედ მისცა წინადადება, საქმე მორიგებით გაათავეთო, და ახლა-კი მოპირდაპირე მხარენი დასთანხმდნენ მორიგებას. სასამართლომ, მოპირდაპირეთა შერიგების გამო, საჩივარი მოსპო.

## დამაჯერდა

მეტად კარგი ცოლი მაინც ცუდი ქმარი იქნებოდა.

ბულვერი

* * *

კაი შვილი მამისთვის და კაი მამა შვილისთვის წმიდანებია ურთიერთას.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ამერიკელს, ჯონ ოსმანს, გამოუგონია ახალი ნავი, რომელიც წყალში ნავის, ხოლო ხმელეთზედ ჩამადნის მაგიეროებასა სწევს. ნავი ოთხის ნაწილისაგან არის გაკეთებული და იმდენად მკვიდრია, რომ წყალში თავისუფლად შეიძლება იმითი ცურაობა. ამასთან ნავი ჩამადანივით იკეცება, შიგ რასაც უნდა ჩააწყობთ, და იმდენად სუმბუქიც არის, რომ ხელით თავისუფლად შეიძლება იმისი ტარება. ეს ნავი დაკეცილი ჩამადნისაგან არაფრით განირჩევა თურმე.

* * *

ამას წინად სუეზის არხის შესავალში, მეწამულის ზღვის პირდაპირ, ძეგლი დაუდგეს ამ არხის გამთხრელს, აწ გარდაცვალებულს ინჟინერს ფერდინანდ ლესსეპს. ოცდაათის წლის წინად, როდესაც არხი გაყვანილ იქმნა, ამ ამბავმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა, მაგრამ გავიდა 30 წელიწადი და ლესსეპსი, არხის გამთხრელი, დაივიწყეს კიდეც. ბევრმა არც-კი იცის, რაოდენი შრომა და ბრძოლა მოუხდა ამ შესანიშნავ კაცს, ვიდრე თავისს დიად აზრს განახორციელებდა და არხს გაიყვანდა, რომელმაც ევროპა აზიას რამდენისამე ათასის ვერსით დაუახლოვა და რომელმაც საზღვაო ვაჭრობაში უზომო ცვლილება მოახდინა. ამ არხის გათხრას ევროპაში მრავალნი აღუდგნენ წინ. ლესსეპს ინგლისის იმედი ჰქონდა, მაგრამ მომხრეები ვერც იქ იშოვნა. მთავრობა მეტად ცუდის თვალით უყურებდა ლესსეპსის პროექტს, ხოლო ინგლისელი ინჟინერები გაიძახოდნენ, რომ არხის გაყვანა მეწამულსა და ხმელთა შუა ზღვის შორის შეუძლებელიაო. ინჟინერები ამტკიცებდნენ, რომ წყალი ორ ზღვაში ერთ სიმაღლეზედ არ არის, რომ მცირე ქარიც-კი ხელს შეუშლის მუშაობას და არხს ქვიშით ამოავსებსო. ამას გარდა არხი თუ გაიყვანეს, მთელ ეგვიპტეს წყალი წალეკავსო. ლესსეპსის პროექტმა დიდი კამათი და ლაპარაკი ინგლისის პარლამენტშიაც-კი გამოიწვია. ლორდმა პალმერსტონმა განაცხადა პარლამენტში, რომ ლესსეპსის პროექტი მხოლოდ ოცნებაა, იმის განხორციელება შეუძლებელიაო. მინისტრის სიტყვებს ლორდები ტაშის ცემით მიეგებნენ. მაგრამ ლესსეპსი არც ამან შეაშინა. საბედნიეროდ, ლესსეპს საფრანგეთმა და იქაურმა კაპიტალისტებმა დაუჭირეს მხარი. ამ კაპიტალისტებმა, უმთავრესად წვრილმა კაპიტალისტებმა, 207,111 აქციაზედ მოაწერეს ხელი. ინგლისელმა არც ერთმა არ მოაწერა ხელი ლესსეპსის აქციებზედ. პრუსიაში კი მხოლოდ 15 კაცი აღმოჩნდა, რომელთაც დაიკვეთეს აქციები; და აი 1859 წელს, 25 აგვისტოს, ფერდინანდ ლესსეპსმა დააყენა მუშები და დაიწყო მუშაობა. 1869 წელს, სწორედ ათის წლის შემდეგ, არხი უკვე მზად იყო. ამ წლის 17 ნოემბერს, ავსტრიის იმპერატორის, საფრანგეთის იმპერატრიცის ევგენიის და მთელის განათლებულის ქვეყნის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ფერდინანდ ლესსეპსმა უბრძანა შლიუზების ახსნა და წყლის გაშვება. ამ რიგად ლესსეპსის ათის წლის უზომო მეცადინეობის შემდეგ კარგა დიდის მანძილით დაშორებული მეწამულისა და ხმელთა შუა ზღვები შეერთებულ იქმნენ.

## გამოსადეგი ცნობა

მსუქანი კაცი უნდა ერიდებოდეს ქონისა, ლორისა, მსუქან ხორცისა, ერბოს, ნაღებისა, შაქრისა, კართოფილისა, ბრინჯეულისა და საზოგადოდ ფქვილეულის ჭამას; კარგია ისაზრდოონ მჭლე ხორცით, ქნით, ხორცის წვენით, თევზით, ყველით, კვერცხებით, ისპანახით, სალათურით, ცერცვით, კომბოსტოთი, ხახვითა და ხილეულობით. რძესა, ლუდსა და ღვინოს უნდა ერიდნენ; სპირტეული ძალიან მცირე უნდა იხმარონ. ამის სამაგიეროდ შეუძლიანთ სვან ყავა, ჩაი და კაკაო, ხოლო უშაქროდ და ურძეოდ-კი, სელტერისა და ჩვეულებრივი მადნეული წყალი.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1, „პრაქტიკული დარიგება აბრეშუმის ჰიის მოვლისათვის“, ნ. კურნალისა, გამოცემული ვ. არდიშვილის მიერ. წიგნაკი 22 გვერდს შეიცავს და ჰღირს ერთ შაურად. 2, „კიტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი“. წერილი საზღვარგარეთელისა, გამოც. ს. მერკვილაძის მიერ. ეს წერილი აკაკის „კრებულიდგან“ არის გადმობეჭდილი. ჰღირს ორ შაურად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 დეკემბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. კაპშტადტში მყოფი ჯარის უფროსი დეპეშით ატყობინებს სამხედრო სამინისტროს, რომ სამხრეთ აფრიკაში ამ ბოლოს დროს არავითარი ცვლილება არ მომხდარაო.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ მოდდერ-რივერიდგან, რომ საპოლიციო ჯარის მცირე რაზმი ჯერ კიდევ გამაგრებულია კაურმანშიო, იმისდა მიუხედავად, რომ ბურებმა არა ერთხელ მიიტანეს ამ ადგილზედ იერიში. მეფკინგთან ბურები, როგორც სჩანს, დიდად დაზარალდნენ. როგორც იმის, ორანჟის რესპუბლიკის მთავრობას აზრადა აქვს სატახტო ქალაქად ბლუმფონტენის მაგიერ ვეინბურგი გაიხადოს, რადგან აწინდელი სატახტო ქალაქი კარგად არ არის გამაგრებული.

„Times“-ს შანხაიდგან ატყობინებენ, რომ ერთმა სინდიკატმა გადასწყვიტა შეუდგეს ახალის რკინის გზის გაყვანას, რომელმაც ხვოიკინის არხის მახლობლად მდებარე ქვა-მაღაროები ტუნდლსა და ვეიგუკს უნდა შეუერთოსო. რკინის გზას 80 მილი ექმნება სიგრძე.

**ლორენცო მარკეზი.** „რეიტერის სააგენტო“. ოფიციალურ დეპეშაში პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ მდ. ტუგელთან მომხდარ ბრძოლის დროს ბურების მხრივ მოკლულ და დაჭრილ იქმნა 30 კაციო.

**ნიუ-იორკი.** „Journal“-ში დაბეჭდილია წერილი პრეზიდენტის კრიუგერისა ამერიკელებს მიმართ. კრიუგერი აცხადებს, რომ მე ყოველთვის თანახმა ვარ დავემორჩილო სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებასაო. „ინგლისი,—განაგრძობს პრეზიდენტი,—ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამას, რამაც გვაიძულა ომი დაგვეწყო. ინგლისმა ათასობით გამოგზავნა სამხრეთ აფრიკაში ჯარი და ის ჯარი ჩვენ საზღვრამდე მოიყვანა. ამით აღმოჩნდა, რომ ინგლისს აზრადა ჰქონდა ძალა დაეტანებინა ჩვენთვის დავთან ხმლითა ყველა იმის მოთხოვნილებას. დიდი ამერიკის ერი, რომელიც ასის წლის წინად იძულებული იყო ეომნა იმავე ინგლისთან, თანაგრძნობით მოეპყრობა, რასაკვირველია, მცირე მონათესავე რესპუბლიკას, რომელიც ებრძვის ძლიერს იმპერიას თავისს ქონებისა და დამოუკიდებლობის დასაცველად“.

**კაირო.** „რეიტ. სააგ.“ პოლკოვნიკმა მაგონმა აიღო გუშინ ელ-ობეიდი. ეს ქალაქი მთლად მინგრეულ მონგრეულია.

14 დეკემბერი

**ლორენცო-მარკეზი.** ოფიციალური დეპეშა ბურების მთავარ ბანაკიდგან კოლენზოსთან იუწყება 4 დეკემბერს: „გუშინ განთიადისას მოვიდა არტილერიის ოფიცერი პრეტორიუსი, რომელსაც დიდ ხანს მოელოდნენ და ამბავი მოიტანა, რომ ჯარი მოდის ტუგელზედო. შუა ადგილი ეჭირა ქვეითა ჯარს; იქით-აქეთ მხარს უჭერდნენ ორ-ორი ბატარეა; ცხენოსანი ჯარი ზურგს უმაგრებდა. ჩვენი არტილერია გაჩუმებული იყო, რათა მტერს არ შეემჩნია ჩვენი ბანაკი. როცა ინგლისელების ორი ბატარეა მოგვიახლოვდა, ჩვენებმა თოფის სროლა ასტეხეს; შემდეგ არტილერიაც ჩაერია ბრძოლაში და მტერი ძლიერ არივ-დარივა, რომელთაც ხიდზედ გასვლა უნდოდა. მაშინ მიუბრუნდა ჩვენს სამხრეთ მხარეს მყოფს ჯარს, მაგრამ მაუზერის თოფის ტყვია ისე საშინლად მოქმედებდა, რომ მტრის ჯარი იძულებული შეიქმნა ერთბაშად უკან დაეხია, როგორც ძალა დაკარგულს ზღვის ტალღას. ბრძოლის ველზედ დარჩიენ დახოცილი და სასიკვდილოდ დაჭრილები. ინგლისელების ცხენკიდებულმა არტილერიამ მოხწია მდინარის ნაპირამდის, მაგრამ წინ ისეთი ცეცხლი მიეგება ერმელოს რაზმის მხრივ, რომ იძულებული შეიქმნა იქვე დაეტოვებინა ორივე თავისი ბატარეა. ინგლისელები ორჯელ ეცადნენ ცხენები მიეყვანათ ზარბაზნების წასაღებათ; პირველათ მართლაც მოახერხეს ერთი ზაბაზნისთვის შეებათ ცხენი, მაგრამ მეორეთ ცხენებიცა და კაცებიც იქვე დაიხოცნენ უცებ, ეხლა ინგლისელებმა დაიხიეს თავიანთ ბანაკისაკენ, და ჩვენსკენ თოფ-ზარბაზნებს ისროდნენ, რათა არ შეგვძლებოდა ზარბაზნების წამოღება. შემდეგ ჩვენ მაინც მოვახერხეთ ცხრა ზარბაზანი დაგვენარჩუნებია. გენერლები ბოტი და ტრიჩარტი ბრძოლის გათავებამდისინ ძლიერ საშიშს ადგილას იდგნენ. თერთმეტმა სახელდახელო ლაზარეთმა აჰკრიბა დახოცილი და დაჭრილი ინგლისელები. ბრძოლის ველი რამდენისამე მილის მანძილზედ დაფარულია დაჭრილებით და დახოცილებითა.

**სოხუმი.** 6 დეკემბერს ხალხის მატარებელი გემი „ოლგა“ სოხუმიდგან გავიდა, როცა კარგი დარი იდგა. გზაში საშინელმა ღელვამ მოასწრო. სანამ ნოვოროსისკში მივიდოდა, გემი იძულებული შეიქმნა ღუზა ჩაეშვა და ნაპირთან გაჩერებულიყო, მაგრამ ტალღამ მოჰგლიჯა და ზღვაში გაიტაცა, მხოლოდ ეხლა ცნობილ იქმნა, რომ გემი სინოპშია. მგზავრებს არა დამავებიათ-რა; იმათ რიცხვში იმყოფება ცნობილი მხატვარი ვერეშჩაგინი.

## განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს** საყოველთაოდ, რომ 28 **მარტს 1900 წელს მოხდება საჯარო ვაჭრობა**—სიტყვიერად და დაბეჭდილ კონვერტებით,—ქალაქის (აბესალომისებურის) **ორ-სართულიან აგარაკის გასასყიდად** ეზოთი და მიწით, ზომით 203 ოთხ-კ. საჟენი. აგარაკი ბორჯომშია, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. აგარაკთან ერთად იყიდება ყოველივე მოძრავი ქონება, რაც იქ არის: ავეჯეულობა, სამზარეულო, საჩაიე და სხვა ნივთები. მიწა აგარაკს დათმობილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 22 დეკემბერს 1851 წელს დამტკიცებულ ბორჯომში აგარაკისთვის მიწით სარგებლობის შესახების წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობები გამგეობის კანცელარიაში გასინჯოს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 10-დგან 2 საათამდე.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 28 მარტამდე შუადღის 12 საათამდე; კონვერტში უნდა იყოს: გირაო 2000 მანეთი, სრული სახელი, გვარი, მამის სახელი და ადრესი იმისი, ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს და უმაღლესი ფასი, რომლის გადახდასაც ისა ჰკისრულობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების იმ მსურველთ, ვინც ქალაქის გარეთ სცხოვრობენ, მოთხოვნილებისამებრ შეიძლება პირობები გაეგზავნოს გასაცნობად.

(5—6.—2)

დაიბეჭდა და იყიდება

**1900 წ.**

ქართული

**კედლის კალენდარი**

გრ. ჩარკვიანისა.

(წელიწადი XII)

უმთავრესი საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში.

**ფასი 40 კაპ.**

გარეშე პირთ ამ ადრესით შეუძლიან გაიწერონ: Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности; дворц. ул. д. дворянства, № 101.

(10—1.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 14 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე